

შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული
საერთაშორისო არბიტრაჟი“ -ს
პარტნიორთა კრების მიერ 2010 წლის 15 აპრილს

„აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან
არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“ -ს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. იურისდიქცია

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ, მუდმივმოქმედ, საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. არბიტრაჟის იურისდიქცია ვრცელდება, მხარეთა თანახმობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ დავებზე, მათ შორის წერილობითი „საარბიტრაჟო შეთანხმების“ არსებობის შემთხვევაში;

3. საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“ განიხილავს როგორც შიდა ასევე საგარეო ეკონომიურ ურთიერთობებში მყოფ სუბიექტთა შორის წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ქონებრივ დავებს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა არბიტრაჟის მიერ, არ ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

მუხლი 2. ორგანიზაცია და საქმიანობა

1. „არბიტრაჟი“-ს საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელშიც შედის ორი დირექტორი და „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“.

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა ეკისრებათ დირექტორებს.

3. საარბიტრაჟო სამართალწარმოებას „დებულების“ შესაბამისად ხელმძღვანელობს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“, („არბიტრაჟის თავმჯდომარე“) მისი არყოფნის შემთხვევაში – „თავმჯდომარის მოადგილე“.

4. დავას არსებითად იხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას დებულობს, კონკრეტულად ამ დავის განმხილველი „არბიტრაჟი“, რომელიც შედგება ერთი ან სამი „არბიტრი“-საგან.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს დებულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ - „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“

ბ) „მხარეები“ – საარბიტრაჟო მოსარჩელე და მოპასუხე – საარბიტრაჟო შეთანხმების (განხილვის) მონაწილე, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები, ადმინისტრაციული ორგანოები, კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოქმნილი დაგებისას.

გ) „სასამართლო“ - საერთო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა;

დ) „კანონი“ - „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი. (№1280–1ხ, 19.06.2009წ.)

ე) „დებულება“ - „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟში“ დადგენილი, საარბიტრაჟო წარმოების და გადაწყვეტილების გამოტანის წესები;

ვ) „არბიტრები“ – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით „არბიტრთა რეესტრში“ შეყვანილი პირები, რომლებიც ფლობენ დაგების განხილვისათვის საჭირო სპეციალურ ცოდნას, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს, აკმაყოფილებენ „მხარეთა შეთანხმებით“ ან „კანონი“-თ დადგენილ მოთხოვნებს.

ზ) „მტკიცებულება“ – ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი, ნივთი, საარბიტრაჟო განხილვის პროცესში მხარეთა თუ მესამე პირთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, სპეციალისტის დასკვნა, ნებისმიერი ფორმით შესრულებული აუდიო და ვიდეო ჩანაწერი, ფოტომასალა, საჯარო ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც მოპოვებულია მხარის მიერ კანონიერი გზით, ცნობილია და აღიარებულია საარბიტრაჟო პრაქტიკაში და უზრუნველყოფს საქმესთან დაკავშირებული სადაო გარემოებების გამორკვევასა და დადგენას.

თ) „არბიტრაჟის დადგენილება“ – „არბიტრაჟის“ მიერ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებზე მიღებული აქტი, რომლითაც საარბიტრაჟო დავა არ წყდება არსებითად.

ი) „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ – „არბიტრაჟის“ მიერ, წინამდებარე დებულების საფუძველზე განხილული დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

კ) „ელექტრონული შეტყობინება“ – ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც გადაეცემათ „მხარეებს“ საინფორმაციო შეტყობინების სახით და მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ შორის, მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფაქსით.

მუხლი 4. საარბიტრაჟო შეთანხმება

1. „საარბიტრაჟო შეთანხმება“ წარმოადგენს „მხარეთა“ წერილობით შეთანხმებას, ძირითად ხელშეკრულებაში დათქმის, ცალკე შეთანხმების ან ოფიციალური შეტყობინებების ურთიერთგაცვლის ფორმით, რომელშიც გამოვლენილია „მხარეთა“ ავტონომიური ნება, გადასცენ „არბიტრაჟს“ განსახილველად და გადასაწყვეტად, ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შესაძლებელია წარმოიშვას მათ შორის კერძო ხასიათის სამართალურ ურთიერთობებიდან გამომდინარე.

2. ხელშეკრულებაზე დამატების ან ხელშეკრულებაში დათქმის სახით არსებული „საარბიტრაჟო შეთანხმება“ განმარტება როგორც შეთანხმება, რომელიც დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების

ბათილად ცნობა თავისთავად ვერ გამოიწვევს „საარბიტრაჟო შეთანხმების“ ბათილობას.

3. „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ითვლება დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა, ასევე დადასტურებულია მხარე-თა შორის საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს „საარბიტრაჟო შეთანხმების“ არსებობას.

4. მხარე-თა შორის ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, გათა-ნაბრუნებულია წერილობითი ფორმით დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმება-სთან, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.

5. „საარბიტრაჟო შეთანხმება“ შესაძლებელია გაფორმდეს ან მისი შინაარსი შეიცვალოს: (შეივსოს, დაზუსტდეს), „მხარეთა“ სამართალურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. დავაზე „არბიტრაჟის“ იურისდიქციის ცნობის შემდგომ „საარბიტრაჟო შეთანხმება“-ში ცვლილები აისახება „არბიტრაჟი“-ს ცალკე დადგენილებაში ან საბოლოო გადაწყვეტილებაში, ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება გაგრძელდება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიღება, ბოლო „საარბიტრაჟო შეთანხმების“ შესაბამისად.

6. არბიტრაჟის მიერ რეკომენდირებული „საარბიტრაჟო შეთანხმება“ (დათქმა):

6.1. „ნებისმიერი დავა, გამომდინარე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის შესრულებასთან, დარღვევასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან, განსახილველად გადაეცემა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟს, მისი დებულების შესაბამისად. დავას განიხილავს — არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის“.

6.2. „მხარეთა“ შეთანხმების შემთხვევაში, „საარბიტრაჟო შეთან-ხმებაზე“ (დათქმაზე) შესაძლებელია გაკეთდეს მითითებები:

- გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნორმების შესახებ;
- საარბიტრაჟო წარმოების ენის შესახებ;
- არბიტრაჟის ჩატარების ადგილის შესახებ;

7. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარ-ბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას. სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსიანთა ცვლილების დროს უფლებამოსიანთა ცვლე ხდება ასევე „საარბიტრაჟო შეთანხმების“ მხარე.

მუხლი 5. კომპეტენცია

1. კონკრეტულ დავაზე, „არბიტრაჟის“ კომპეტენციისა და უფლებამოსილების, ასევე „საარბიტრაჟო შეთანხმების“ არსებობის ან მისი ნამდვილობის დადგენის საკითხს, განსაზღვრავს „არბიტრაჟის თავმჯდომარე“ ან აღნიშნული დავის განმხილველი „არბიტრაჟი“. გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიიღება ცალკე დადგენილებით, ან აისახება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებაში.

2. შეცილება „არბიტრაჟის“ კომპეტენციასთან დაკავშირებით, მხარის მიერ უნდა გაკეთდეს წერილობითი მოტივირებული განცხადების სახით, შეცილების გარემოებების შეტყობიდან შვიდი დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს მას ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას.

3. „არბიტრაჟი“-ს დადგენილება დავაზე შესაბამის კომპეტენციასთან დაკავშირებით, მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოში, მისი გამოტანიდან ოცდაათი დღის ვადაში. სასამართლოს განჩინება „არბიტრაჟი“-ს კომპეტენციის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება. საჩივრის წარდგენა სასამართლოში ვერ დააბრკოლებს „არბიტრაჟი“-ს მიერ საქმის განხილვის დაწყებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას.

4. დავაზე „არბიტრაჟის“ იურისდიქციისა და კომპეტენციის ცნობის შემდგომ, „მხარეთა“ შორის საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება არბიტრაჟის „დებულების“ შესაბამისად, რომელიც განხილვა როგორც „საარბიტრაჟო შეთანხმების“ განუყოფელი და შემადგენელი ნაწილი.

5. „დებულები“-ს რომელიმე ნორმის წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასთან, გავლენას ვერ მოახდენს დანარჩენ ნორმათა იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

მუხლი 6. არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ჩარევის შემთხვევები

1. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს „მხარეთა“ ან „არბიტრაჟი“-ს დებულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით.

2. დაუშვებელია, არბიტრაჟის „დებულებით“ გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში „სასამართლო“-ს რაიმე სახით ჩარევა, გარდა „კანონით“ პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საარბიტრაჟო განხილვის მიზნებისათვის, „დებულების“ საფუძველზე მიღებული „არბიტრაჟის“ ყველა გადაწყვეტილება (დადგენილება) საბოლოო და სავალდებულოა „მხარეთათვის“, შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული „მხარი“-ს მიერ, მხოლოდ „კანონი“-თ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. დავაზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შემდგომ, ამავე დავის არსებით საკითხებზე რომელიმე „მხარის“ მიერ „სასამართლო“-სათვის სარჩელით მიმართვის შემთხვევაში, აღნიშნულ „მხარე“-ს ეკისრება „სასამართლო“-სათვის შეტყობინების ვალდებულება, იმავე საგანზე და საფუძველით საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ.

5. „მხარის“ მიერ „სასამართლოში“ სარჩელის შეტანა იმ დავის არსებით საკითხებზე, რომელიც „საარბიტრაჟო შეთანხმების“ საგანია, ვერ დააბრკოლებს „არბიტრაჟი“-ს მიერ დაწყებული საქმის განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანას.

მუხლი 7 პროცედურა

1. „არბიტრაჟი“ დავას იხილავს და საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს „მხარეთა“ თანასწორობის პირობებში, დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით, კონფიდენციალურად და შემჭიდროებულ ვადებში.

2. „საარბიტრაჟო შეთანხმების“ გათვალისწინებით, დავის განხილვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია განხორციელდეს, საქმის ზეპირი განხილვით ან მის გარეშე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საარბიტრაჟო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით ან ერთერთი „მხარის“ მოთხოვნით, დაადგინოს საქმეზე ზეპირი განხილვა.

3. „მხარეთა“ შეთანხმების შემთხვევაში, „არბიტრაჟი“ უზრუნველყოფს საქმის განხილვას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანას, „UNSATRAL 1976“-ის ტიპური რეგლამენტით.

4. „დებულებით“ პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი პროცედურული საკითხის მოსაწესრიგებლად, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია გამოიყენოს მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგი). თუ ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია განახორციელოს „კანონით“ აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება, სამართლის ზოგადი პრინციპების, კეთილსინდისიერების, ზნეობის, „მხარე“-თა ინტერესებისა და უფლებათა თანასწორობის გათვალისწინებით (სამართლის ანალოგია).

5. თუ „კანონის“ რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და „საარბიტრაჟო შეთანხმების“ რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და „მხარე“ აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ არ წარადგენს წერილობით პროტესტს, შეცდომების გარემოებების შეტყობინებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში, ჩაითვლება რომ მან უარი განაცხადა გაპროტესტებაზე. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული „მხარე“ ვერ გამოიყენებს იმავე გარემოებით შეცდომების უფლებას, საქმეზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ.

მუხლი 8. არბიტრაჟის ჩატარების ადგილი

1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა „საარბიტრაჟო შეთანხმებაში“ მითითებული ადგილი, მითითების არარსებობის შემთხვევაში განხილვის ადგილად მიიჩნევა „არბიტრაჟი“-ს იურიდიული მისამართი: ბათუმი ახმედ მელაშვილის ქ. №26

2. საქმის არსებითი განხილვა ან ცალკეულ მოქმედებათა შესრულება: არბიტრთა კონსულტაციები, მოწმეების, ექსპერტების, მხარეების და მესამე პირების მოსმენა, მტკიცებულებათა შემოწმება, შესაძლებელია განხორციელდეს, „არბიტრაჟის“ მიერ დადგენილ, ასეთისათვის შესაფერის ნებისმიერ ადგილზე.

მუხლი 9. საარბიტრაჟო წარმოების ენა

1. საარბიტრაჟო წარმოების ენა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოების ენას ადგენს არბიტრაჟი, „საარბიტრაჟო შეთანხმების“, საარბიტრაჟო დათქმის შემცველი ხელშეკრულების ენის და დავის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

2. საარბიტრაჟო სარჩელი, შესაგებელი, ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც „მხარე“ საქმის განხილვის პერიოდში წარუდგენს „არბიტრაჟს“, უნდა

იყოს შესრულებული საარბიტრაჟო წარმოების ენაზე. სხვა ენაზე შედგენილი წერილობითი მტკიცებულება „არბიტრაჟს“ უნდა წარედგინოს მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოების ენაზე ნათარგმნი, ოფიციალურად დამოწმებული და ლეგალიზებული, სახით.

3. „არბიტრაჟის“ მიერ, საქმისწარმოების პროცესში გამოცემულ ნებისმიერ დოკუმენტი: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, (დადგენილება) მიმართვა ასევე სრულდება საარბიტრაჟო წარმოების ენაზე.

4. არბიტრაჟის“ შეხედულებით, საქმის ზეპირი განხილვა შესაძლებელია წარმართოს თარჯიმნის საშუალებით ქართულ ენაზე. თარჯიმნის წინასწარი ხარჯები ანაზღაურდება საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ, რომელიც შემდგომში განაწილდება მხარეთა შორის, „სარბიტრაჟო ხარჯებისა და მოსაკრებლების გადახდის შესახებ“ წესების შესაბამისად.

მუხლი 10. გამოსაყენებელი სამართალი

1. იურიდიკციისა და კომპეტენციის დადგენისას „არბიტრაჟი“ ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით.

2. საარბიტრაჟო წარმოება რეგულირდება:

- საქართველოს რეზიდენტებისათვის – საქართველოს კანონმდებლობით.
- არარეზიდენტებისა და და შერეული სუბიექტებისათვის – „მხარეთა“ შეთანხმებით. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით.

3. დავის მატერიალური საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება „მხარეთა“ შეთანხმებით არჩეული სამართლით. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს სამართლის ნორმებით.

4. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.

5. გადაწყვეტილების გამოტანისას „არბიტრაჟი“ ითვალისწინებს იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, სტანდარტულ პირობებს, რომელიც ახასიათებს სადაო სამართალურთიერთობას თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

1. არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ „მხარეთა“ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. საარბიტრაჟო წარმოების პროცესში წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი, მტკიცებულება, წერილობითი და ზეპირი განცხადება, ინფორმაცია კონფიდენციალურია. მათი საჯაროდ გამოქვეყნება, გადაცემა და გამოყენება სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით ან შესაბამისი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 12 ვადები

1. ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით და განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან „არბიტრაჟის დებულებით“. ვადების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი მოქმედების შესრულების გონივრული შესაძლებლობა.

2. ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადა ამოწურულად ჩაითვლება მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს.

3. საქმის განხილვა იწყება, დავაზე „არბიტრაჟის“ იურისდიქციის ცნობისა და დავის განმხილველი „არბიტრაჟის“ ფორმირებიდან ათი დღის ვადაში. საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა უნდა დასრულდეს, განხილვის დაწყებიდან არაუგვიანეს ოთხმოცდაათი დღის ვადაში. საქმის სირთულისა და საარბიტრაჟო წარმოების სხვა მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადა შესაძლებელია დავის განმხილველმა „არბიტრაჟმა“ გააგრძელოს დამატებით, არაუმეტეს ოთხმოცდაათი დღით.

4. „დებულებით“ დადგენილი ან „არბიტრაჟის“ დანიშნული ვადის გასვლის შემდგომ, „მხარე“-ს უქარწყლდება შესაბამისი მოქმედების შესრულების უფლება. გაშვებული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „არბიტრაჟის“ მიერ, მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობის ან მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 13. კომუნიკაცია არბიტრაჟსა და მხარეებს შორის

1. „არბიტრაჟსა“ და „მხარე“-თა შორის კომუნიკაცია ხორციელდება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე, წერილობით, ელექტრონული შეტყობინებით ან საჯარო გამოცხადებით.

2. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერ წერილობითი დოკუმენტი საარბიტრაჟო სარჩელი, შესაგებელი, არბიტრაჟის გადაწყვეტილება (დადგენილება), უწყება, ექსპერტის დასკვნა თუ სხვა ნებისმიერი კორესპოდენცია, ადრესატს ეგზავნება კურიერით, დაზღვეული ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით, რომელთა გაგზავნის რეგისტრაცია და ჩაბარების დადასტურება შესაძლებელია.

3. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება თუ იგი ადრესატს ჩაბარდა საარბიტრაჟო სარჩელში (შესაგებელში) მითითებულ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილის მისამართზე. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება თუ იგი გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე, ნებისმიერი საშუალებით, რომელიც დაადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას.

4. ადრესატს წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაეთვლება თუ იგი ჩაბარდა ადრესატის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილის მისამართზე მყოფ ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელიც თანახმა იქნება კორესპოდენცია გადასცეს ადრესატს.

5. შეტყობინების მიღებაზე ადრესატის უარის შემთხვევაში, შეტყობინება სათანადო აღნიშვნით უბრუნდება არბიტრაჟს და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად.

6. თუ „მხარე“-ზე შეტყობინების ჩაბარება შეუძლებელია ან მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, შეტყობინება ადრესატზე ჩაბარებულად ჩაითვლება, მისი საჯარო გამოცხადებიდან მეშვიდე დღეს. საჯარო გამოცხადება ქვეყნდება

არბიტრაჟის ოფიციალურ საიტზე და მასობრივი საინფორმაციო საშუალებით, კერძოდ: საქართველოს რეზიდენტებისათვის – გაზეთებში: „აჭარა“ ან „ოცდაოთხი საათი“. საქართველოს არარეზიდენტებისათვის – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, იმ ბუდეით საინფორმაციო საშუალებაში რომელიც ვრცელდება ადრესატის სავარაუდო ადგილსამყოფელის ტერიტორიაზე.

მუხლი 14. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები

1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები შედგება: „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“-საგან, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“-საგან და „არბიტრაჟის დამატებითი ხარჯები“-საგან.

2. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ოდენობა, გადახდის წესი და განაწილება მხარეთა შორის, განისაზღვრება: “საარბიტრაჟო ხარჯებისა და მოსაკრებლების გადახდის შესახებ“ წესებით.

თაზი 3.

მ ხ ა რ ე მ ბ ი

მუხლი 15. უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. „საარბიტრაჟო შეთანხმების“ ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია საკუთარი კერძო, ქონებრივი ინტერესების დასაცავად მიმართოს არბიტრაჟს.

2. ერთერთი „მხარის“ ქმედუნაროდ ცნობის, გარდაცვალების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოება დაიწყება (გაგრძელდება), მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის ან სამართალურთიერთობაში უფლებამონაცვლე პირის დადგენის შემდგომ.

მუხლი 16. უფლებები

1. „მხარეები“ სარგებლობენ თანაბარი უფლებებით: დანიშნონ არბიტრები, გაეცნონ საქმის მასალებს, დააყენონ განცხადებები, წარადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, გამოთქვან მოსაზრებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, გააქარწყლონ მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მიმართონ სასამართლოს.

2. საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე თვითოეული მხარისათვის „არბიტრაჟი“ უზრუნველყოფს, მათი პოზიციის გამოხატვის სრულ შესაძლებლობას.

3. საარბიტრაჟო განხილვის პერიოდში „მხარეს“ უფლება აქვს შეცვალოს (გაადიდოს ან შეამციროს) საარბიტრაჟო სარჩელის (შეგებებული სარჩელის) მოთხოვნები, წამოაყენოს დამატებითი მოთხოვნები, საერთოდ უარი თქვას მოთხოვნებზე ან დავა დაამთავროს მორიგებით, ან გამოიხმოს საარბიტრაჟო სარჩელი მოთხოვნაზე საბოლოო უარის თქმის გარეშე.

4. საარბიტრაჟო სარჩელის (შეგებებული სარჩელის) შეცვლა უნდა განხორციელდეს მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე. დაუშვებელია საარბიტრაჟო სარჩელის (შეგებებული სარჩელის) ისეთი ცვლილება, რომელიც სცილდება „საარბიტრაჟო შეთანხმების“ ფარგლებს.

5. საარბიტრაჟო სარჩელთან (შესაგებელთან) ერთად მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება საქმეს ან მიუთითონ იმ საბუთებსა და მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ.

მუხლი 17. თანამონაწილეობა

საარბიტრაჟო სარჩელი შესაძლებელია წარდგენილი იქნას ერთი ან რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ასეთ შემთხვევაში თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოდის დამოუკიდებლად და სარგებლობს „კანონითა“ და „დებულებით“ მინიჭებული ყველა უფლებით.

მუხლი 18. წარმომადგენლობა

1. „მხარეებს“ შეუძლიათ „არბიტრაჟში“ დავა აწარმოონ უშუალოდ ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით. წარმომადგენლობა დასტურდება სათანადო რწმუნებულებით.

2. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მარწმუნებელს უფლება აქვს შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება. წარმომადგენელს უფლება აქვს უარი თქვას საკუთარ უფლებამოსილებაზე. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლის მიერ

„კანონისა“ და „დებულების“ შესაბამისად შესრულებული ყველა მოქმედება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 19. გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის

„მხარეებს“ უფლება აქვთ, მათთვის „კანონითა“ და „დებულებით“ მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირს, რაც უნდა დადასტურდეს წერილობით.

თავი 4. საარბიტრაჟო წარმოების დაწყება

მუხლი 20. საარბიტრაჟო სარჩელი

1. საარბიტრაჟო წარმოება იწყება დაინტერესებული პირის – საარბიტრაჟო მოსარჩელის (განმცხადებლის) მიერ, „არბიტრაჟში“ წერილობითი მოთხოვნის – საარბიტრაჟო სარჩელის (განცხადების) წარდგენის საფუძველზე.

2. საარბიტრაჟო სარჩელში უნდა მიეთითოს:

2.1. არბიტრაჟის დასახელება;

2.2. საარბიტრაჟო მოსარჩელის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი და მაიდენტიფიკირებელი მონაცემები, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი)

2.3. მოპასუხის რეკვიზიტები: (იურიდიული მისამართი და მაიდენტიფიკირებელი მონაცემები, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი)

2.4. საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე სხვა პირთა რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი და მაიდენტიფიკირებელი მონაცემები, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი)

2.5. დავის საგანი;

2.6. „არბიტრაჟის“ კომპეტენციის (იურისდიქციის) დასაბუთება – „საარბიტრაჟო შეთანხმება“

2.7. დავის არსი;

2.8. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც საარბიტრაჟო მოსარჩელე ამყარებს მოთხოვნებს, მტკიცებულებები რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს;

2.9. სამართლებრივი დასაბუთება;

2.10. დავის საგნის ფასი;

2.11. სასარჩელო მოთხოვნები;

2.12. თანდართული დოკუმენტების ნუსხა;

3. საარბიტრაჟო სარჩელი (დანომრილი და მოსარჩელის ხელმოწერილი კვერდებით) თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, „არბიტრაჟს“

წარედგინება განხილვის მონაწილეთა და „არბიტრაჟი“-სათვის საკმარისი ეგზემპლიარების ოდენობით.

4. საარბიტრაჟო სარჩელს (განცხადებას) სავალდებულოა ერთვოდეს „სარეგისტრაციო (საარბიტრაჟო) მოსაკრებლის“ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და რწმუნებულება, თუ საარბიტრაჟო სარჩელი შემოაქვს რწმუნებულს;

5. აღნიშნული მუხლის მე-2; მე-3; მე-4 პუნქტების დარღვევით წარდგენილ საარბიტრაჟო სარჩელზე, საარბიტრაჟო წარმოება დაიწყება, მხოლოდ შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრის შედეგად. არბიტრაჟის დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სარჩელი დარჩება განუხილველი

6. საარბიტრაჟო სარჩელზე „არბიტრაჟი“-ს იურისდიქციის ცნობის შემდგომ, მოსარჩელე უფლებამოსილია „არბიტრაჟს“ წერილობით წარუდგინოს არბიტრობის საკუთარი კანდიდატი, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით, ასევე მიმართოს განცხადებით იმ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით რაც საარბიტრაჟო მოსარჩელის შეხედულებით მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის. მათ შორის მოითხოვოს:

- ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მიღება;
- ბ) მოპასუხისაგან გარკვეულ მტკიცებულებათა გამოთხოვა;
- გ) „სასამართლოსათვის“ მიმართვა სამართლებრივი დახმარები-სათვის, მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვების და მოწმის დასწრების უზრუნველყოფისათვის;
- დ) მოწმეთა გამოძახება;
- ე) დავის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა მოთხოვნები.

მუხლი 21. დავის საგნის ფასი

1. დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

- ა) ფულად მოთხოვნებზე - მოთხოვნილი თანხით;
- ბ) ქონებრივ მოთხოვნებზე - ქონების ღირებულებით;

2. საარბიტრაჟო მოსარჩელე დავის საგნის ფასს მიუთითებს იმ შემთხვევაშიც, როცა მოთხოვნას გააჩნია არამატერიალური ხასიათი ან შეუძლებელია მისი განსაზღვრა.

3. საარბიტრაჟო სარჩელეში სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნის ჩამოყალიბების შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება თითოეული მოთხოვნისათვის განისაზღვრება ცალკეცალკე.

მუხლი 22. უარი საარბიტრაჟო სარჩელის მიღებაზე

1. „არბიტრაჟი“ არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს თუ:

- 1.1. დავაზე არ ვრცელდება „არბიტრაჟის“ კომპეტენცია;
- 1.2. არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის იგივე საგანზე ან ასეთი დავა წარმოებაშია.

2. საარბიტრაჟო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, „არბიტრაჟის თავმჯდომარე“ გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას.

მუხლი 23. შეტყობინება მოპასუხისადმი

1. საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების მიზნით „არბიტრაჟი“-ს კან-ცველარია:

1.1. გადაუგზავნის მოპასუხეს, საარბიტრაჟო სარჩელს თანდართული დოკუმენტებით და მოსარჩელი-საგან შემოსულ სხვა წერილობით კორესპოდენციას, უნიშნავს ვადას, საარბიტრაჟო სარჩელში ჩამოყალიბებულ საკითხებზე წერილობითი შესაგებელის წარმოსადგენად.

1.2. მიმართავს მოპასუხეს: „საარბიტრაჟო შეთანხმებით“ გათვალისწინებულ სხვა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის დანიშნოს არბიტრი თუ ეს გათვალისწინებულია „მხარეთა“ შეთანხმებით.

2. მოპასუხის შესაგებელში უნდა ჩამოყალიბდეს:

2.1. მოტივირებული მოსაზრებები „არბიტრაჟის“ კომპეტენციასა და იურისდიქციასთან დაკავშირებით.

2.2. შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს.

2.3. სხვა მოთხოვნები, რაც მოპასუხის შესედულებით მნიშვნელოვანია საქმის არსებითი განხილვისათვის.

2.4. არბიტრობის კანდიდატის რეკვიზიტები, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით.

3. შესაგებელის ეგზემპლარი თანდართული დოკუმენტებით, ასეთის წარმოდგენის შემთხვევაში, გადაეცემა საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელიც უფლებამოსილია არბიტრაჟს, დაწესებულ ვადაში წარუდგინოს დამატებითი მოსაზრებები შესაგებელთან დაკავშირებით.

4. თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოდგენლობა არ ჩაითვლება საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

5. „დებულების“ ნებისმიერი მუხლი რომელიც შეეხება „საარბიტრაჟო სარჩელს“ გამოიყენება „საარბიტრაჟო შესაგებლის“ მიმართაც, გარდა უარისა, საარბიტრაჟო სარჩელით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე.

მუხლი 24. შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი

1. მოპასუხე უფლებამოსილია, მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის ასლის ჩაბარებიდან საქმეზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე, აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

2. შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი „არბიტრაჟს“ წარედგინება საარბიტრაჟო სარჩელისათვის დადგენილი წესების დაცვით.

3. შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი „არბიტრაჟში“ მიიღება, თუ:

3.1. შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი (ძირითადი) მოთხოვნის ჩასათვლელად;

3.2. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

3.3. ძირითად და შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვა უზრუნველყოფს დავის უფრო სწრაფად და სწორად გადაწყვეტას.

4. შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, „არბიტრაჟი“ გამოიტანს ერთობლივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

მუხლი 25. არბიტრაჟის დამატებითი უფლებამოსილებანი საქმის მომზადების სტადიაზე

1. საქმის მომზადების სტადიაზე, დავის განმხილველი „არბიტრაჟის“ ფორმირებამდე, „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ (თავმჯდომარის მოადგილე) აღჭურვილია „არბიტრაჟის“ უფლებამოსილებით, გარდა უფლებისა არსებითად განიხილოს დავა და მიიღოს მასზე საბოლოო გადაწყვეტილება.

2. საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების მიზნით, „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ უფლებამოსილია:

2.1. დაავალოს მხარეებს: განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, შეასრულონ „საარბიტრაჟო შეთანხმებით“ გათვალისწინებული პროცედურები და აუცილებლობის შემთხვევაში დაახუსტონ „საარბიტრაჟო შეთანხმების“ პირობები.

2.2. „მხარის“ შუამდგომლობით გამოითხოვოს მოწინააღმდეგე „მხარისაგან“, მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, რომელზედაც შუამდგომლობის აღმძვრელი „მხარე“ ამყარებს საკუთარ მოთხოვნას ან შესაგებელს.

2.3. „მხარეთა“ განცხადებით აღძრას შუამდგომლობები „სასამართლოს“ წინაშე, მტკიცებულებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

2.4. გადაწყვიტოს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

2.5. საკუთარი შეხედულებით, „დებულების“ ფარგლებში შესრულოს სხვა მოქმედებები რომელიც ხელს შეუწყობს საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადებას.

3. საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადების მიზნით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის (თავმჯდომარის მოადგილის) მითითებები და დავალებები, სავალ-დებულოა მხარეთათვის.

**თაზი 5.
არბიტრთაშის ფორმირება**

მუხლი 26. არბიტრთა რაოდენობა

1. დავის განმხილველი არბიტრაჟი შედგება ერთი ან სამი წევრისაგან (არბიტრისაგან).

2. არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. თუ არბიტრთა რაოდენობა არაა განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით. საქმის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე, მხარეების მიერ შესაძლებელია შეიცვალოს (დახუსტდეს) არბიტრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი.

მუხლი 27 არბიტრთა დანიშვნა

1. ერთი წევრისაგან შემდგარ არბიტრს ნიშნავს:

1.1. მხარეები – თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით. შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრაჟის არბიტრთა რეესტრში არსებული შემადგენლობიდან;

1.2. „სასამართლო“ – არბიტრის კანდიდატურაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ასეთზე ერთ-ერთი მხარის განცხადების წარმოებაში მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში.

2. სამი არბიტრი–საგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეები ნიშნავენ თითო არბიტრს, არბიტრაჟის არბიტრთა რეესტრში არსებული შემადგენლობიდან. დანიშნული ორი არბიტრი, მათი დანიშენიდან ათი დღის ვადაში, არბიტრთა რეესტრის შემადგენლობიდან ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. აღნიშნულ ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, „არბიტრაჟის თავმჯდომარე“-ს ნიშნავს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ იმავე რეესტრის შემადგენლობიდან, თუ „მხარეები“ სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

3. თუ ერთერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის ან „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის“ მოთხოვნის მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშენიდან ოცდაათი დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის კანდიდატურაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს (დავის განმხილველი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში;

4. არბიტრების დანიშენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დამოუკიდებელი კვალიფიციური და მიუკერძოებელი განხილვის უზრუნველსაყოფად, „არბიტრაჟი“ მხადგვალობაში იღებს, დასანიშნ „არბიტრთა“ მხარეთა შეთანხმებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. არბიტრი–ს დანიშენის ან არბიტრი–ს დანიშენაზე შეთანხმების მიუღწევლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს დადგენილებას.

7. პირი, რომელიც წარდგენილია არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე „არბიტრაჟს“ და ასეთზე მათი მოთხოვნის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და კვალიფიკაციის (არბიტრად მუშაობის გამოცდილების) შესახებ.

8. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობას პირი ადასტურებს შესაბამისი წერილობითი დეკლარაციით, რომლითაც იღებს ვალდებულებას განაცხადოს ყველა იმ გარემოებათა შესახებ რომელიც შეიძლება იწვევდეს დასაბუთებულ ეჭვს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, ასევე ხელს აწერს შეთანხმებას პონორარის შესახებ.

9. არბიტრად შესაძლებელია დანიშნული იქნას, შესაბამისი კვალიფიკაციისა და დავის გადაწყვეტის უნარ–ჩვევების მქონე, ნებისმიერ ქმედუნარიანი პირი გარდა შემთხვევისა როდესაც იგი არის:

- ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;
- ბ) მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა

მუხლი 28. არბიტრის აცილება

1. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ერთპიროვნული არბიტრის ან კოლეგიური არბიტრაჟი—ს ნებისმიერი წევრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი (ვარაუდი) არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში, თუ დასაშვებია, რომ არბიტრი პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებულია საქმის შედეგით.

2. „მხარეს“ უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული „არბიტრი“—ს აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა „არბიტრი“—ს დანიშვნის შემდგომ.

3. „არბიტრი“ ვალდებულია:

3.1. აცილების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. განაცხადოს თვითაცილება.

3.2 მისი დანიშნიდან, მთელი საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „მხარეებსა და არბიტრაჟს“ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვი გამოიწვიოს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

4. არბიტრის მიმართ აცილების გამოსაცხადებლად „მხარემ“, აცილების შესახებ წერილობითი განცხადებით, უნდა მიმართოს არბიტრაჟს („მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს“) ათი დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა კანონით ან დებულებით გათვალისწინებული, რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში სავალდებულოა მიეთითოს არბიტრის აცილების საფუძველი და მოტივები.

5. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას, დაინტერესებული მხარის წერილობითი განცხადების წარდგენიდან ათი დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს წყვეტს „არბიტრაჟი“ („მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“) ამ ვადის ამოწურვიდან ათი დღის ვადაში. აცილების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე არბიტრაჟი („მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“) ვალდებულია მოისმინოს აცილება გაცხადებული არბიტრისა და მხარეთა კომენტარი, აცილების საკითხებთან დაკავშირებით.

6. „არბიტრაჟის“ („მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის“) მიერ აცილების შესახებ მხარის განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, აცილებაზე უარის თქმის შესახებ „არბიტრაჟის დადგენილების“ გამოტანიდან ოცდაათი დღის ვადაში, მიმართოს სასამართლოს „არბიტრის“, აცილების მოთხოვნით.

7. არბიტრის აცილების საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. არბიტრს უფლება აქვს, განაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო წარმოება იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

8. აცილების დაუკმაყოფილების შემთხვევაში საქმე უბრუნდება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც დავას განსახილველად გადასცემს „არბიტრაჟის“ სხვა შემადგენლობას.

მუხლი 29. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. მხარეს არა აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს მის მიერ დანიშნული არბიტრი.

2. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნით, ან მხარეთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია აღნიშნულზე წერილობითი მოტივირებული განცხადებით, მიმართოს არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს), რომელიც საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე უფლებამოსილია მოისმინოს შესაბამისი არბიტრისა და მხარეთა კომენტარი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე, ასევე გადაწყვიტოს უფლებამოსილების შეწყვეტამდე არბიტრაჟის მიერ განხორციელებული მოქმედებების ძალაში დატოვების საკითხი.

3. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მხარის განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ოცი დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს, არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე საბოლოოა და არ სანივრდება.

4. არბიტრის მიერ უარის თქმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს დებულებით გათვალისწინებული, აცილების საფუძვლების არსებობის აღიარებას.

მუხლი 30. ახალი არბიტრის დანიშვნა

არბიტრის აცილების დაუკმაყოფილების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი არბიტრი ინიშნება იმავე საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში და იგივე წესით, რომელიც გამოყენებული იყო აცილებული ან უფლებამოსილება შეწყვეტილი არბიტრის შემთხვევაში.

მუხლი 31. ექსპერტის თარჯიმნის სხდომის მდივნის აცილება

ექსპერტის, თარჯიმნის, საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით.

თავი 6.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

მუხლი 32. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება და გამოყენების პირობები

1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

2 მხარემ, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა „არბიტრაჟს“ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

2.1. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

2.2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

2.2. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

3. დაინტერესებული მხარის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფის ღონისძიებების მისაღებად, არბიტრაჟი უფლებამოსილია, წერილობითი დადგენილებით დაავალოს მხარეს:

3.1. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეინარჩუნოს ან აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა;

3.2. მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მეორე მხარისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

3.3. განახორციელოს ღონისძიებები იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც შემდგომში უნდა აღსრულდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

3.4. შეინარჩუნოს და შეინახოს ის მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტას.

4. უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარ-გლებში, რომელშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

5. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამ-დგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

6. მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 33. უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

არბიტრაჟი უფლებამოსილია, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, საკუთარი ინიციატივით, მხარეთათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუხლი 34. ინფორმაციის განცხადების ვალდებულება

არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეცაა მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

მუხლი 35. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა და აღსრულება

1. არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა მხარეთათვის და მათი იძულებითი

აღსრულება უნდა განხორციელდეს **სააპელაციო სასამართლოს** მიმართვის გზით.

2. **„მხარე“**, რომელიც მიმართავს **სააპელაციო სასამართლოს** შუამდგომლობით **არბიტრაჟის** მიერ გამოყენებული **საარბიტრაჟო სარჩელის** უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დაკმაყოფილდა, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულ **სასამართლოს** ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება **არბიტრაჟის** მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

3. **საარბიტრაჟო სარჩელის** უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ **საარბიტრაჟო დადგენილება** ცნობისა და იძულებითი აღსრულებისათვის, შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს წარედგინება **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. სააპელაციო **სასამართლო**, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად არ იხილავს **საარბიტრაჟო სარჩელის** უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობას.

მუხლი 36. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება სასამართლოს მიერ

1. **მხარეს** შეუძლია **საარბიტრაჟო სარჩელის** უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, მიმართოს პირდაპირ სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც აქვთ იგივე უფლებამოსილება, რაც საერთო სამართალწარმოებაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

**თაზი 7.
საარბიტრაჟო ბანხილვა**

მუხლი 37. საქმის გადაცემა „არბიტრაჟზე“

საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრების შემდგომ, დაგა არსებითად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა კონკრეტული დავისათვის შექმნილ **„არბიტრაჟს“**. დავის განმხილველი **„არბიტრაჟი“** საკუთარი შეხედულებით უფლებამოსილია განსა-ზღვროს: **მხარეთა** წარმოდგენილი დოკუმენტების განმარტების, შუამდგომლობების დაკმაყოფილების, დამატებითი მასალების გამო-თხოვისა და სხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა.

მუხლი 38. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა

1. საქმის მომზადების დამთავრების შემდგომ, **„მხარეთა“** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმარტებისა და ზეპირი პაექრობის მიზნით იმართება საარბიტრაჟო განხილვა. **„არბიტრაჟი“** უფლებამოსილია საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ერთ-ერთი **„მხარის“** მოთხოვნით **„არბიტრაჟი“** ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც **მხარეებმა** წერილობით განაცხადეს უარი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე.

2. მხარეებსა და განხილვაში მონაწილე სხვა პირებს წინასწარ, გონივრულ ვადაში ბარდებთ შეტყობინება არბიტრაჟის ყოველი სხდომისა და მოსმენის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

3. თუ „დებულებით“ დადგენილი წესით გაფრთხილებული ერთ-ერთი „მხარე“ არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

4. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს საარბიტრაჟო განხილვის ჩატარება და საქმის არსებითად გადაწყვეტა მისი მონაწილეობის გარეშე.

5. „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია „მხარეთათვის“ ჩამოაყალიბოს კონკრეტული საკითხები, რომლებზედაც სასურველია მათი დეტალური კომენტარი.

6. ზეპირ განხილვას წარმართავს „არბიტრაჟის თავმჯდომარე“, რომლის მოხსენების შემდეგ ახსნა-განმარტებას იძლევიან „მხარეები“ და მესამე პირები. „არბიტრაჟი“ იღებს ყველა გონივრულ ზომას რომ საქმე ყოველმხრივ იქნას გამოკვლეული, წარმოდგენილი მტკიცებულებები შემოწმებული და „მხარებს“ მიეცეთ საკუთარი პოზიციების გამოსატვის შესაძლებლობა.

8. ყველა განცხადება, დოკუმენტი თუ ინფორმაცია, ექსპერტის დასკვნა და სხვა მტკიცებულება, რომელსაც წარუდგენს „არბიტრაჟს“ ერთერთი „მხარე“ და რომელიც არბიტრაჟმა შესაძლებელია საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას, ეგზავნება მოწი-ნააღმდეგე მხარეს.

მუხლი 39. საქმის განხილვა წერილობითი მასალების საფუძველზე

საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე „მხარეები“ შესაძლებელია შეთანხმდნენ, საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე. წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე. „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ დანიშნოს ზეპირი მოსმენით განხილვა თუ წარმოდგენილ მასალას არასაკმარისად მიიჩნევს დავის არსებითად გადაწყვეტისათვის.

მუხლი 40. მესამე პირები

1. იმ შემთხვევაში თუ არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ შემდგომში შესაძლებელია გავლენა მოახდინოს დავაში არმონაწილე პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, ერთერთი „მხარის“ მიმართ, „მხარის“ ან „არბიტრაჟი“-ს ინიციატივით, მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებამდე, აღნიშნული პირები შესაძლებელია მოწვეული იქნან საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად როგორც მესამე პირები.

2. საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მესამე პირებზე არ ვარაუდდება „საარბიტრაჟო შეთანხმების“ სავალდებულობა.

3. მესამე პირებს გადაეცემათ დავასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია და ეძლევათ საკუთარი პოზიციის გამოსატვის შესაძლებლობა.

მუხლი 41. მტკიცებულებები

1. თვითოეულ „მხარეს“ ეკისრება იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომელზედაც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს, სადაო

გარემოებათა მტკიცება უნდა განხორციელდეს კანონიერი გზით მოპოვებული შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია მოითხოვოს საქმიდან სადაო მტკიცებულებათა ამორიცხვა და დავის გადაწყვეტა დარჩენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

2. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, სადაო გარემოებათა დადგენის მიზნით „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია:

2.1 მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს და არბიტრაჟს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;

2.2. საკუთარი შეხედულებით გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები ან არ მიიღოს წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ ისინი კონკრეტულ დავასთან კავშირში არ იმყოფებიან.

2.3. მიმართოს სასამართლოს, მტკიცებულებათა და საარბიტრაჟო განხილვაზე, მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად.

2.4. გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მათი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება საარბიტრაჟო განხილვის დროს;

3. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, არბიტრაჟს ან მისი თანხმობით, ერთერთ მხარეს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დახმარებისათვის იმ მტკიცებულებათა მოპოვებაში. რომელთა წარმოდგენაც „მხარემ“ პირადად ვერ შეძლო. აღნიშნული მტკიცებულება შესაძლებელია მხარეს ან არბიტრაჟს წარუდგინოს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

4. გამოთხოვნილი მტკიცებულებების არ წარმოდგენა ვერ დააბრკოლებს „არბიტრაჟი“-ს მიერ საქმის განხილვას. საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანება საქმეში ფაქტობრივად არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

5. „არბიტრაჟი“ ყოველ წარმოდგენილ მტკიცებულებას აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება, საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, მათი საქმისადმი დამოკიდებულების, დასაშვებობის შემოწმების, ყოველ-მხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგებს.

6. ერთი „მხარის“ მიერ ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე „მხარე“ ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს, შესაძლებელია ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად და საფუძველად დაედოს საბოლოო გადაწყვეტილებას.

7. „მხარეები“ თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან იმ იურიდიული ფაქტების დადასტურებისას რომლებიც:

7.1. აღიარებულია საყოველთაოდ ცნობილად;

7.2. დადგენილია საერთო სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონიერ ძალაში არსებული გადაწყვეტილებით. (პრეიუდიციები)

7.3. აღიარებულია მხარის მიერ საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, მისი მოტყუების, მუქარის, კეთისლსინდისიერი შეცდომისა და საქმის ნამდვილი გარემოების დამალვის გარეშე.

მუხლი 42. მოწმეები

1. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებით, დაინტერესებული „მხარი“-ს შუამდგომლობით

შესაძლებელია მოწვეული იქნას საქმეზე მოწმედ. „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია მოწმის დაშვების საკითხი გადაწყვიტოს, მის მიერ დასადასტურებელი ან გასაქარწყლებელი გარემოებების საქმისათვის მნიშვნელობის, ასევე მეორე მხარის მოსაზრების გათვალისწინებით.

2. მოწმის ჩვენება შეიძლება წარმოდგენილი იქნას „მხარის“ მიერ წერილობით. „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან „მხარის“ შუამდგომლობით გადაწყვიტოს ასეთი მოწმის ზეპირ მოსმენაზე გამოძახების მიზანშეწონილობა.

3. საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მუხლი 43. ექსპერტის დანიშვნა, აცილება

1. საარბიტრაჟო წარმოების პროცესში, სპეციალურ ცოდნასთან დაკავშირებული სადაო გარემოებების განხილვისას, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია „მხარეთა“ შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი. საკითხებს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს „არბიტრაჟი“ „მხარეთა“ მოსაზრებების გათვალისწინებით.

2. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟისაგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში დასკვნა არბიტრაჟს წარედგინება საქმის, საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე. საარბიტრაჟო სარჩელით (შესაგებლით) მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს გონივრული ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

3. ექსპერტის დასკვნის წარმოდგენლობა არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. „არბიტრაჟს“ შეუძლია განუსაზღვროს მხარეს ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად, რომლის შემდგომ განხილვა გაგრძელდება საქმეში ფაქტობრივად არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

4. „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს, ექსპერტს წარუდგინონ ან გადასცენ დასათვალისწინებლად, დავასთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი და ნივთი. თუ მხარე არასაპატიო მიზეზით თავს აარიდებს ექსპერტიზაში მონაწილეობას ან ხელს შეუშლის მას, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია ის სადაო გარემოება, რომლის გამოსარკვევად დანიშნული იყო ექსპერტიზა, მიიჩნიოს დადგენილად მეორე „მხარის“ სასარგებლოდ.

5. ექსპერტის დასკვნა კეთდება წერილობით. წარმოდგენილი დასკვნის განმარტებისა და სადაო საკითხების დაზუსტების მიზნით, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტი საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ შეკითხვები დაუსვან მოწვეულ ექსპერტს, ასევე მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადაო საკითხების დაზუსტების მიზნით.

6. ექსპერტის აცილება და თვითაცილება ხორციელდება არბიტრის აცილებისათვის დებულებით განსაზღვრული საფუძველებითა და წესით.

7. ექპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო **არბიტრაჟისათვის** და მისი შეფასება ხორციელდება საქმეზე მტკიცებულებათა შეფასებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 44. არბიტრაჟის დამატებითი უფლებამოსილებანი

1. „მხარე“-თა მოსაზრებების გათვალისწინებით **არბიტრაჟი** უფლებამოსილია:

1.1. განსაზღვროს კოლიზიური სამართლის რომელი ნორმებით შეიძლება დარეგულირდეს დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, დოკუმენტი ან შეთანხმება.

1.2. შეიტანოს შესწორება ნებისმიერ დოკუმენტში გამოვლენილი და მხოლოდ **მხარეთათვის** თანაბრად მნიშვნელოვან ფარგლებში.

1.3. საქმეზე სადაო გარემოებების დადგენის მიზნით, ჩაატაროს ნებისმიერი გამოკვლევა **არბიტრაჟის** უფლებამოსილებათა, „კანონი“-თ განსაზღვრულ ფარგლებში.

მუხლი 45. საქმის წარმოების გადადება ან შეჩერება

1. თუ „**არბიტრაჟისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით, დავის სრულყოფილად გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია, „**მხარეთა** შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით „**არბიტრაჟი**“ გონივრული ვადით შეაჩერებს საქმის განხილვას.

2. საქმის განხილვა განახლება განხილვის გადადების ან შეჩერების გამომწვევ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ.

მუხლი 46. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი

1. საარბიტრაჟო წარმოების თვითოეული სხდომის ან ცალკეული შესრულებული მოქმედების შესახებ, დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს: **არბიტრაჟი** და სხდომის მდივანი.

2. ოქმის შესადგენად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ტექნიკური საშუალებები რომელთა ჩანაწერებიც დაერთვება წერილობით ოქმს.

3. „**მხარეებს** უფლება აქვთ იშუამდგომლონ, საქმის განხილვისას, ოქმში მათი მოსაზრებით მნიშვნელოვანი საკითხების შეტანა.

თავი 8.

საარბიტრაჟო წარმოების დასრულება

მუხლი 47. საბოლოო გადაწყვეტილება

1. საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოკვლევისა და წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შემდგომ, საქმის განხილვა მთავრდება და **არბიტრაჟს** გამოაქვს **საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**.

2. ერთწევრიანი **არბიტრაჟის** შემთხვევაში, **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას** იღებს ერთპიროვნული **არბიტრი**.

3. სამწვერიანი არბიტრაჟის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიღება დასურულ თათბირზე, არბიტრაჟის შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით. არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ნებისმიერი არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბოს წერილობით რომელიც დაერთვება საქმეს.

4. გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი განსაზღვრავს საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელი გარემოებებია დადგენილი, რომელი კანონი ან იურიდიული ნორმა უნდა იქნას გამოყენებული და რა მოცულობით უნდა დაკმაყოფილდეს საარბიტრაჟო სარჩელი (შეგე-ბებული საარბიტრაჟო სარჩელი).

5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ვერ გაცდება მხარეთა მოთხოვნისა და საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, ვერ მიაკუთვნებს მხარეს იმას რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტს ვიდრე მოითხოვდა, ასევე ვერ დააკისრებს დავაში არ მონაწილე პირს, რაიმე ვალდებულებას ერთერთი მხარის სასარგებლოდ.

48. ნაწილობრივი გადაწყვეტილება

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია, მხარეთა მოთხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება:

1.1. ერთ საარბიტრაჟო სარჩელში რამოდენიმე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ეთანხმება ერთ-ერთ მათგანს;

1.2. რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან თუ რომელიმე გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, აღნიშნული მოთხოვნის მიმართ.

1.3. შეგებებული სარჩელის აღძვრის შერმთხვევაში. როდესაც გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ ერთი: საარბიტრაჟო სარჩელი ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი.

49. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება

თუ სადაოა სასარჩელო (შეგებებული სასარჩელო) მოთხოვნის, როგორც ფაქტობრივი საფუძველი ასევე მოთხოვნის ოდენობა, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ, რომელსაც ექნება პრეიუდიციული ძალა არბიტრაჟის მომდევნო გადაწყვეტილებისათვის, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნის ოდენობას.

მუხლი 50. გადაწყვეტილების შინაარსი

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჩამოყალიბდება წერილობით და შედგება: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან.

1.1. შესავალ ნაწილში აღინიშნება გამოტანის დრო და ადგილი, არბიტრაჟის შემადგენლობა და სხდომის მდივანი, არბიტრაჟის კომპეტენციის საფუძველი, მხარეები, მათი წარმომადგენლები და დავის საგნი;

1.2. არწერილობით ნაწილში აღინიშნება მოთხოვნები, შესაგებელი, ფაქტობრივი გარემოებები, არბიტრაჟის დასკვნები.

1.3. სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებები, რომლითაც არბიტრაჟი უარყოფს გარკვეულ მტკიცებულებებს, კანონი და იურიდიული ნორმა, რომლითაც არბიტრაჟი მივიდა შესაბამის დასკვნამდე და ხარჯები.

14. დადგენილებით ნაწილში აღინიშნება: **არბიტრაჟის** დასკვნა სარჩელის (შეგებებული სარჩელის) დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ასევე მიეთითება: ხარჯების განაწილება, გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების ვადა, შესაძლო იძულებითი აღსრულების ობიექტი, გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურა, გასაჩივრების ვადა და წესი, **არბიტრთა** ხელმოწერები.

2. **საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არბიტრთა** ხელმოწერისა და „**არბიტრაჟი**“–ს ბეჭდით დადასტურების შემდგომ, მოწმდება სანოტარო წესით და გადაეცემათ „**მხარეებს**“.

მუხლი 51. მხარეთა მორიგება

1. საარბიტრაჟო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე „**მხარეების** მორიგების შემთხვევაში, „**არბიტრაჟი**“ შეწვიტავს საქმის განხილვას და **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით** დაამტკიცებს **მხარეთა** მორიგებას შეთანხმებული პირობებით, მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან ათი დღის ვადაში

2. მორიგების შესახებ **საარბიტრაჟო გადაწყვეტილება** ჩამოყალიბდება „**დებულებით** გათვალისწინებული საერთო წესით, სამოტივაციო ნაწილის გარეშე. ასეთ **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას** აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას**.

მუხლი 52. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. თითოეული **მხარე** უფლებამოსილია, მეორე **მხარისათვის** შეტყობინების შემდეგ **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** გამოტანიდან 30 დღის ვადაში, წერილობით, მოტივირებული განცხადებით მიმართოს **არბიტრაჟს** და მოითხოვოს:

ა) **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში** მითითებულ გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომების და უზუსტობების შესწორება, მათ შორის წერითი, ბეჭდური და სხვა;

ბ) განმარტება, **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით;

გ) **დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** გამოტანა იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული საბოლოო გადაწყვეტილებაში.

2. თუ **არბიტრაჟი** მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, განცხადების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში:

2.1. შეიტანს **საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში** შესაბამის შესწორებას;

2.2. მისცემს განმარტებას **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** კონკრეტულ საკითხზე;

2.3. გამოიტანს **დამატებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას** ძირითად გადაწყვეტილებაზე.

3. გადაწყვეტილების შესწორება, განმარტება და დამატებითი გადაწყვეტილება წარმოადგენს გამოტანილი **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** შემადგენელ ნაწილს.

4. **არბიტრაჟი** უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში საკუთარი ინიციატივით გაასწოროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შეცდომები და უზუსტობები.

5. **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** შესწორების, განმარტების ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ

მხარეებს, მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. არბიტრაჟი უფლებამოსილია: ამ მუხლის შესაბამისად, შეცდომის გასწორების, განმარტების ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა გააგრძელოს არა უმეტეს ოცდაათი დღით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე, არსებული „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ ინარჩუნებს კანონიერ ძალას.

მუხლი 53. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

1. არბიტრაჟი მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტავს საქმის წარმოებას, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე თუ:

ა) არსებობს კანონიერ ძალაში არსებული სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება(განჩინება) გამოტანილი დავაზე იმავე **მხარეებს** შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

ბ) საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და **არბიტრაჟი** მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

გ) **მხარეები** შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე.

დ) **არბიტრაჟი** დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, არ არის აუცილებელი ან რაიმე მიზეზით შეუძლებელია.

2. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის და საერთო სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვა დავაზე იმავე **მხარეებს** შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია.

მუხლი 54. საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვება.

1. არბიტრაჟი თავისი ინიციატივით ან **მხარის** განცხადებით განუხილველად დატოვებს საარბიტრაჟო სარჩელს როდესაც:

1.1. სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა ქმედუწარმო პირმა ან პირმა რომელსაც არ გააჩნდა საქმისწარმოებაზე უფლებამოსილება.

1.2. არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი, რომელიც დაუდგინდა დაინტერესებულ პირს, **არბიტრაჟში** საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

1.3. დაკმაყოფილდა საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

2. საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ **არბიტრაჟის** მიერ მიიღება დასაბუთებული დადგენილება.

3. საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვება ვერ დააბრკოლებს მომავალში, იმავე დავასა და იმავე საგანზე, საერთო წესით საარბიტრაჟო სარჩელის თავიდან წარდგენას, გარდა შემთხვევისა როდესაც დავის თავიდან აღძვრის მომენტიანათვის, აღნიშნულ საქმეზე სხვა **არბიტრაჟის** ან **სასამართლოს** მიერ, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება.

მუხლი 55. დასაშვებობა

1. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განიხილება და გადაწყდება მოთხოვნები ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ, ასეთზე „მხარეთა „საარბიტრაჟო შეთანხმების“ არსებობის შემთხვევაში.

2. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოება არ დაიშვება თუ:

ა) მოთხოვნა დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე;

ბ) მოთხოვნა წამოყენებულია ერთზე მეტი მოპასუხის (მოვალის) მიმართ;

3. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განიხილვისათვის რეკომენდირებული საარბიტრაჟო (დათქმა) შეთანხმება:

“მხარეთა შორის ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაგა, განსახილველად გადაეცემა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟს, მისი დებულების შესაბამისად. დაგას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის”.

მუხლი 56. განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ.

1. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველია, დავალიანების გადახდევინების შესახებ „განცხადება“, რომელიც წარედგინება „არბიტრაჟს“ გადახდის ბრძანების მისაღებად.

2. „განცხადება“ უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) „არბიტრაჟი“-ს დასახელება;

ბ) მხარეების „საარბიტრაჟო მოსარჩელე; მოპასუხე“ დასახელება და რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი);

გ) მითითება არბიტრაჟის კომპეტენციაზე, (საარბიტრაჟო შეთანხმება) საქმის გამარტივებული წარმოებით განიხილვისთან დაკავშირებით.

დ) მონაცემები ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ;

ე) „განცხადების“ ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, მტკიცებულებები;

ვ) მითითება, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული „განმცხადებლის“ მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე ან რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერა;

3. „განცხადებას“ უნდა ახლდეს „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ გადახდის ქვითარი და დანართში მითითებული დოკუმენტების ასლები.

მუხლი 57. გადახდის ბრძანება.

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ „განცხადების“ დასაშვებად ცნობის შემდგომ, „არბიტრაჟი“ გამოსცემს გადახდის ბრძანებას, „განცხადების“ წარმოებაში მიღებიდან ხუთი დღის ვადაში;

2. გადახდის ბრძანება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) „არბიტრაჟის“ შემადგენლობა;

ბ) „მხარეების“ „საარბიტრაჟო მოსარჩელე; მოპასუხე“ დასახელება და რეკვიზიტები: (იურიდიული მისამართი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი);

გ) მითითება არბიტრაჟის კომპეტენციაზე, (საარბიტრაჟო შეთანხმება) საქმის გამარტივებული წარმოებით განხილვასთან დაკავშირებით.

დ) მონაცემები ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ;

ე) გადახდის ბრძანების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, მტკიცებულებები;

ვ) მითითება, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე ან რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;

ზ) მითითება, რომ „არბიტრაჟს“ არ შეუმოწმებია აქვს თუ არა გაქარწყლებული განმცხადებელს (საარბიტრაჟო მოსარჩელეს) მოთხოვნის უფლება;

თ) მითითება, რომ გადახდის ბრძანების ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში დაფაროს ვალი ხარჯებთან ერთად, თუკი მოპასუხე (მოვალე) მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს ან შეიტანოს „არბიტრაჟში“ წერილობითი მოტივირებული „პროტესტი“ თუ მას მოთხოვნა დაუსაბუთებულად მიაჩნია;

ი) მითითება, რომ თუ მოპასუხე (მოვალე) არ გადაიხდის დავალიანებას, „გადახდის ბრძანების“ შესაბამისად ან არ წარუდგენს „არბიტრაჟს“ მოტივირებულ პროტესტს, „არბიტრაჟის“ მიერ გამოიტანება „გადაწყვეტილება“ დავალიანების გადახდევინების შესახებ.

3. „გადახდის ბრძანება“ მოპასუხეს (მოვალეს) ბარდება, დავა-ლიანების გადახდევინების შესახებ „განცხადება“-სა და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;

მუხლი 58. მოვალის პროტესტი.

1. მოპასუხე (მოვალე) უფლებამოსილია არბიტრაჟში შეიტანოს გადახდის ბრძანების წინააღმდეგ მოტივირებული პროტესტი, მისი ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში. ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს თუ ამას „არბიტრაჟი“ საპატიოდ მიიჩნევს.

2. პროტესტი უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას ფაქტობრივ გარემოებებზე რომლებსაც ემყარება მოპასუხის (მოვალის) პროტესტი, „განცხადებისა“ და „გადახდის ბრძანების“ წინააღმდეგ;

ბ) მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება ეს გარემოებები;

გ) მითითებას, დამოკიდებულია თუ არა აღძრული მოთხოვნა განმცხადებლის მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე;

დ) არსებობს თუ არა გარემოებები, რომელთა გამო გაქარწყლებულია უფლება მოთხოვნაზე;

3. პროტესტს უნდა ახლდეს „საარბიტრაჟო მოსაერებლის“ გადახდის ქვითარი და ნუსხაში მითითებული დოკუმენტების ასლები;

4. თუ პროტესტი წარმოდგენილი იქნება „დებულების“ მოთხოვნათა დარღვევით, მოპასუხეს ეძლევა ათდღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში პროტესტი წარდგენილად არ ჩაითვლება.

5. პროტესტის, „დებულების“ მოთხოვნათა დაცვით წარდგენის შემთხვევაში, გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განიხილება და გადაწყდება

საარბიტრაჟო წარმოების საერთო წესით, ერთი არბიტრისაგან შემდგარი „არბიტრაჟის“ მიერ.

მუხლი 59. გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინებაზე.

1. თუ მოპასუხე (მოვალე) არ შეიტანს არბიტრაჟში მოტივირებულ პროტესტს გადახდის ბრძანების წინააღმდეგ „დებულების“ მოთხოვნათა დაცვით ან დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, „არბიტრაჟის“ მიერ გამოტანილი იქნება „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“, დავალიანების გადახდევინებაზე, გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განცხადების დაკმაყოფილების შესახებ.

2. „გადაწყვეტილება“-ში დავალიანების გადახდევინებაზე, შესაძლებელია მიეთითოს იძულებითი აღსრულების ობიექტი;

3. სათანადოდ დამოწმებული „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ დავალიანების გადახდევინებაზე, კანონიერ ძალაშია მხარეებზე მისი ჩაბარების მომენტიდან, იგი საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის, გააჩნია საერთო წესით გამოტანილი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ სამართლებრივი შედეგი.

4. დავალიანების გადახდევინებაზე „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ ცნობა და იძულებითი აღსრულება ხორციელდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ ცნობისა და აღსრულების ზოგადი წესით.

თავი 10.

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება,
გადაწყვეტილების გასაჩივრება**

მუხლი 60. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია მისი დამოწმებისთანავე. იგი საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის.

2. კანონიერ ძალაში შესული „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ იძულებითი აღსრულება ხორციელდება:

2.1. საქართველოში: – „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ ცნობისა და აღსრულების წესით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ: – „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის 10.06.1958წ. კონვენციით, ან იმ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით, რომლის კომპეტენტურ ორგანოშიც აღიძრება შუამდგომლობა „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

3. „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების“ კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, „კანონით“ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა „მხარეებსა“ და მათ უფლებამონაცვლე პირებს აღარ შეუძლიათ მიმართონ საერთო სასამართლოებსა და „არბიტრაჟს“ იგივე მოთხოვნებით იმავე საფუძველებზე, სადაო გახადონ

გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეში დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მუხლი 61. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება

1. განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სააპელაციო სასამართლოში მხარეებზე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ოთხმოცდაათი დღის ვადაში.

2. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს „არბიტრაჟის“ მიერ გამოტანილი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება არ გამოიწვევს მისი აღსრულების ავტომატურად შეჩერებას. იძულებითი აღსრულება შესაძლებელია შეჩერდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ, მხოლოდ დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენის შემთხვევაში, არა უმეტეს ოცდაათი დღის ვადით.

მუხლი 62. დასკვნითი დებულებები

1. არც „არბიტრაჟი“ არც ცალკეული არბიტრი არ არის პასუხისმგებელი რომელიმე მხარის წინაშე საქმის წარმოებასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ხორციელდება წინამდებარე „დებულების“ საფუძველზე.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის, მისი შესწორების, განმარტების, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადის ამოწურვის შემდგომ, „არბიტრაჟი“ არ არის ვალდებული გააკეთოს რაიმე კომენტარი ან შეფასება საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე „დებულებით“, „არბიტრაჟი“ ყველა გონივრული საშუალებით, უზრუნველყოფს რომ დავა გადაწყდეს არსებითად, მიღებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს, იყოს დასაბუთებული და იურიდიულად შესრულებადი.